როდესაც ერაზმუს + K107 პროგრამის ფარგლებში ჩემი კანდიდატურა წარადგინეს, საერთოდ არ მიფიქრია, თუ წინ რა მაგარი ამბავი მელოდა. ეს იყო 5 დაუვიწყარი, გამოცდილებით, სურპრიზებით და ცოდნით აღსავსე თვე.

პირველ რიგში ერაზმუსი+ ნებისმიერ სტუდენტს აძლევს დიდ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, შემდეგ კი სხვა დანარჩენს. ამ პროგრამის საშუალებით გავიცანი ბევრი კარგი ადამიანი, რომლებთანაც დავმეგობრდი და კიდევ დიდხანს გაგრძელდება ჩვენი მეგობრობა. ჩემი პოლონეთში ყოფნის პერიოდში გავეცანი პოლონურ განათლების სისტემას, ლექტორებს და სხვადასხვა პროფესორ მუშაკებს, ვმუშაობდი რადიოში რომელიც არსებობს იან კოხანოვსკის უნივერსიტეტის ბაზაზე. ეს იყო ერთი დიდი მეგობრული ოჯახი, რომლის ნაწილიც გავხდი. ამასთან ერთად, კიდევ უფრო ღრმად გავეცანი ევროპულ კულტურას, ფასეულობებსა და ღირებულებებს.

მადლობა მინდა გადავუხადო, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტს და ნინო ქემერტელიძეს, რომ მომცეს შანსი ვყოფილიყავი ერაზმუს+ პროგრამის მონაწილე.

ამირან პარასკევაშვილი